DOI: 10.67363/ep5shg15

Givi Bolotashvili
Member of Parliament of Georgia in 1999-2004

The Eastern Horizon of Politics

(Abstract)

KEYWORDS: Geopolitics, Ethnic Conflicts, Nationalism, Cultural Differences, Authoritarian Regimes, Fundamentalism

The vast territory stretching from the Gulf of Suez to China's Xinjiang Uyghur Autonomous Region has become, in effect, a modern Balkans: home to roughly 500 million people, of decisive geopolitical importance, and beset by intense ethnic and regional conflicts fuelled by political turmoil and foreign domination. Such external dominance – too often imposed by military means – frequently collides with local cultures and religious traditions.

Today, approximately six million Jewish Israelis, five million Palestinian Arabs and some thirty million Kurds live on ancestral lands that have been partitioned among neighbouring states (Turkey, Iran, Iraq, and Syria). Two nuclear-armed neighbours, India and Pakistan, remain locked in a perpetual struggle over Kashmir. Meanwhile, currents of Islamic fundamentalism continue to widen cultural and political cleavages across the region.

The modern Arab states are comparatively young: Saudi Arabia (September 1932), Kuwait (June 1961), Yemen (November 1967) and the United Arab Emirates (December 1971). The Palestinians gained a measure of autonomy on 13 September 1993, under the Oslo I Accord between the Government of Israel and the Palestine Liberation Organisation (PLO). Israel's self-portrayal as a victim is frequently mobilised to justify violent policies, while its critics are accused –

BRAMS 2021 Nov
Volume 2, Issue 5
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

sometimes hyperbolically – of endangering the state's very existence.

The region has endured major upheavals: the US invasion of Iraq in 2003, Algeria's brutal civil war (26 December 1991–8 February 2002) that cost some 100,000 lives, and protracted ethnic violence in Sudan claiming over two million victims. The spectre of a renewed Arab Spring unnerves regimes such as Morocco's monarchy, which watched the overthrow of Muammar Gaddafi in Libya, the fall of Saddam Hussein in Iraq and the abolition of the Tunisian monarchy. Meanwhile, Sudan offers scant prospects for a stable future, Jordan remains among the region's poorest states, and wealthy Gulf monarchies such as Kuwait and the UAE – despite extraordinary private affluence – continue to depend strategically on the United States. Excluding oil revenues, the combined exports of twenty-two Arab countries barely equal those of Finland.

In the wake of Western withdrawal, many Arab regimes founded on nationalism and socialism hardened into authoritarian forms that, paradoxically, became prominent vectors of state-sponsored Islamophobia. Gamal Abdel Nasser, triumphant after the 1952 revolution, suffered a profound reversal when Israel routed the Egyptian–Syrian–Jordanian coalition in the Six-Day War of 1967. Authoritarian strongmen – Gaddafi, Saddam Hussein and Bashar al-Assad among them – failed to construct resilient societies. Equally, attempts to fashion cohesive theocratic or Islamist states have faltered in Afghanistan, Sudan and Iran. With the Taliban's return to power, Afghanistan's future – and the wider implications for international security – remains precarious.

This eastern horizon of politics is defined by stark contrasts: ancient grievances and modern weapons, prodigious energy wealth and crippling poverty, fragile states and ambitious regional projects. Its uncertainties reverberate far beyond the region's borders, shaping global geopolitics in the twenty-first century.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

DOI: 10.67363/ep5shg15

გივი ბოლოთაშვილი
საქართველოს მე-5 მოწვევის
პარლამენტის წევრი (1999-2004)

პოლიტიკის აღმოსავლური ჰორიზონტი

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკა, ეთნიკური კონფლიქტები,
ნაციონალიზმი, კულტურული განსხვავებები,
ავტორიტარული რეჟიმები, ფუნდამენტალიზმი

სუეციდან სინძიანის პროვინციამდე გადაჭიმული რეგიონი ახალი გლობალური ბალკანეთია – 500-მილიონიანი მოსახლეობით, მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური სივრცით, ინტენსიური ეთნიკური და რეგიონული წინააღმდეგობებითა და ძალადობით, რომელიც გარე ბატონობის წინააღმდეგ პოლიტიკური მღელვარებების გამო აღმოცენდა. სამხედრო ძალით თავსმოხვეული ეს ბატონობა მოცემული გარემოსათვის უცხო იყო რელიგიურ-კულტურული თვალსაზრისით. ამ გლობალური ბალკანეთის შიგნით ეთნიკურ კონფლიქტში ჩათრეულია 6 მლნ ებრაელი ისრაელიდან, 5 მლნ პალესტინელი არაბი, 30 მლნ ქურთი (რომლებიც დანაწილებულნი არიან თურქეთს, ირანს, სირიასა და ერაყს შორის), აგრეთვე, ინდოეთი და პაკისტანი, რომლებიც ქაშმირის გამო დავობენ. მრავალრიცხოვანი პოტენციური მწვავე კონფლიქტის კერებია სხვა ქვეყნებშიც.[1]

ამ რეგიონში განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ისლამური ფუნდამენტალიზმი, რომელიც გამორჩეული გულმოდგინებით ცდილობს კულტურული სხვაობის დამკვიდრებას. კულტურული განსხვავებები ცივილიზაციებს შორის ბუნებრივად არსებობს, მაგრამ ამას არ უნდა მოყვეს კატაკლიზმები, სიძულვილი და ომი. თვით

BRAMS 2021 Nov
Volume 2, Issue 5
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ისეთ საკითხზე მსჯელობისას, როგორიცაა „ცივილიზაციური ტეხილი“ (კონფლიქტი დასავლეთსა და ისლამურ ფუნდამენტალიზმს შორის), დაპირისპირება, უპირატესად, პოლიტიკური ხასიათისაა და არ გულისხმობს კულტურულ შეუთავსებლობას.

თანამედროვე ისლამიზმის ფენომენი XX-XXI საუკუნეების მოვლენაა. რა თქმა უნდა, ისლამისტები იყენებენ კულტურულ მასალას, რომელიც VII საუკუნეში მცხოვრები მუჰამედის პერიოდს განეკუთვნება. თუმცა, ეროვნული კულტურის გამოცოცხლებისათვის ისლამისტების მიერ შერჩეული ტრადიციები და ადათ-წესები დამოკიდებულია არა წარსულის დიქტატზე, არამედ ამ ტრადიციების როლისა და მნიშვნელობის თანამედროვე გაგებაზე, რასაც პოლიტიკური მოთხოვნები განაპირობებს. კულტურული მასალის სხვა ნაწილი სრულიად ახალია და ასახავს ისლამური სამყაროს თანამედროვე მდგომარეობას – ნავთობის კომპანიების უზარმაზარ შემოსავალს, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამხედრო მიღწევებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ კულტურის ნიადაგზე გაცილებით ადვილად წამოიჭრება კონფლიქტები, ვიდრე ეკონომიკურ ან იდეოლოგიურ საფუძველზე. ამერიკელი პოლიტოლოგი სემუელ ჰანთინგტონი (1927-2008) ცდებოდა, როდესაც ამ კონფლიქტების მოუგვარებლობაზე ლაპარაკობდა. ინდუსები და მუსლიმები ინდოეთში, ჩვეულებრივ, ერთმანეთს არ ებრძვიან იმის გამო, რომ ერთნი პატივს სცემენ ძროხას, როგორც წმინდა ცხოველს, მეორენი კი მას ჭამენ. ისინი ერთმანეთს მტრობენ და ეომებიან სულ სხვა მიზეზით.

მუსლიმები ევროპელ ქრისტიანებს ისე უყურებდნენ, როგორც, ოდესღაც, რომაელები გერმანულ ბარბაროსულ ტომებს; მაგრამ XIX საუკუნეში ისლამურ ცივილიზაციას დიდი დარტყმის გადატანა მოუხდა. თანამედროვე ისლა-

BRAMS 2021 Nov
Volume 2, Issue 5
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მის პოლიტიკურ აზროვნებაში ერთი ასპექტია შემაცბუნებელი: იმაზე დაფიქრების ნაცვლად, თუ რატომ წავიდა მათი საქმე ასე და არა სხვაგვარად, ისლამის ლიდერები მოითხოვენ პასუხს კითხვაზე – „ვინ მოგვექცა ასე სასტიკად?“. მათი პოზიცია თანამედროვე აფრიკელი ლიდერების მსგავსია, რომლებიც კოლონიზატორებს ადანაშაულებენ საკუთარ უბედურებაში („მიგვატოვეს და წავიდნენ“). არაბები ბრალს მონღოლებს, თურქებს, ინგლისელებსა და ამერიკელებს სდებენ.[2]

გერმანელი ისტორიკოსი ერნსტ ნოლტე (1923-2016) თავის წიგნში „წინააღმდეგობის მესამე რადიკალური მოძრაობა: ისლამიზმი“ მიუთითებდა ფაშიზმისა და ბოლშევიზმის შემდეგ დასავლური მოდერნიზაციისადმი მესამე მნიშვნელოვან დაპირისპირებაზე. ისლამიზმის შესახებ ყველაზე გავრცელებულ მოსაზრებას წარმოადგენს ვერსია „აჯანყება მოდერნის წინააღმდეგ“. აშშ 43-ე პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უმცროსი ტერმინ „ისლამოფაშიზმსაც“ კი იყენებდა. აღსანიშნავია, რომ ეს აჯანყება ატარებს „ორგანულ“ ხასიათს, ანუ ამ კულტურის ფასეულობები არ კვეთენ დასავლურს. როდესაც ერთი ევროპელი ერთმანეთს ადარებდა მუსლიმებსა და დასავლეთის მცხოვრებთ, წერდა, რომ ყველაზე ღარიბ მუსლიმებს „მშვენიერი, უბრალო ცხოვრება აქვთ დაბადებიდან სიკვდილამდე“ იმიტომ, რომ ისინი შორს არიან ცხოვრების ევროპული, არსებითად, დეკადენტური წესისაგან, რომელიც ორიენტირებულია მომხმარებლობაზე, მაგრამ არ მოაქვს არც ბედნიერება და არც კმაყოფილება.[3]

ისლამიზმის თანამედროვე გაგების ფუძემდებელი და საზოგადოება „მუსლიმთა საძმოს“ (არაბ. ჯამაათ ალ-იხვან ალ-მუსლიმინ) ყველაზე გავლენიანი იდეოლოგი, ეგვიპტელი რევოლუციონერი პოეტი საიდ ყუთბი (1906-1966) მუსლიმთა ყველაზე პოპულარული უტოპიის ავტო-

BRAMS 2021 Nov
Volume 2, Issue 5
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რი გახდა. მისი ორიგინალური იდეა თანამედროვეობის პოლიტიკური და იდეოლოგიური სტრუქტურის დემონტაჟის მოხდენას ისახავდა მიზნად, რათა ხალხი საწყისი პერიოდის წმინდა, აუმღვრეველ ისლამს დაბრუნებოდა. ამ თემაზე იგი არაერთი მნიშვნელოვანი წიგნის ავტორია:

1. „ყურანის ჩრდილში“ („ფი ზილალ ალ-ყურ’ან“, 1954);
2. „სოციალური სამართლიანობა ისლამში“ („ალ-ადალა ალ-იჯთიმა’ია ფი’ლ-ისლამ“, 1949);
3. „გზის სამანები ანუ ეტაპები“ („მა’ალიმ ფი’ლ-თარიყ“, 1964);
4. „ისლამი და ცივილიზაციის პრობლემები“ („ალ-ისლამ ვა მუშკილათ ალ-ჰადარა“, 1954 წლის შემდეგ);
5. „ამ რელიგიის მომავალი“ („ალ-მუსთაყბალ ლი-ჰადჰა’ლ-დინ“, 1954 წლის შემდეგ).

საკუთარ ნაშრომებში საიდ ყუთბი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ თანამედროვე საზოგადოების ყოველგვარი მანკიერების აღმოფხვრა შეიძლებოდა ყურანის მცნებების ზედმიწევნით დაცვით. აშშ-ში ორწლიანი სწავლისა და ცხოვრებისადმი მატერიალისტური დამოკიდებულების ამერიკული მიდრეკილების აღმოჩენის შემდეგ, იგი დაუღალავად ქადაგებდა ისლამისა და თანამედროვეობის შეუთავსებლობის თაობაზე.

ყუთბის ცნობილ მანიფესტს „ეტაპები“ ეპისტოლარული ფორმა აქვს და ავტორი თავის სულიერ ძმებსა და დებს მიმართავს. ეს თხზულება იდეურად ჰგავს ჟან-ჟაკ რუსოს „საზოგადოებრივ ხელშეკრულებასა“ და ვ. ი. ლენინის ნაშრომს „რა ვაკეთოთ?“[4] საიდ ყუთბმა ოსტატურად გამოიყენა ის ფაქტი, რომ მუსლიმებისათვის სიტყვა „რელიგიას“ რადიკალურად განსხვავებული მნიშვნელობა

BRAMS 2021 Nov
Volume 2, Issue 5
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

აქვს, ვიდრე ქრისტიანებისათვის. ისლამი მხოლოდ რწმენას არ წარმოადგენს. იგი, ამავე დროს, მართლმორწმუნედ ცხოვრების სისტემაა, ფართო გაგებით. ყურანში მოცემული ნორმები შეიცავს სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და, დასავლური გაგებით, კონსტიტუციურ უფლებებსაც კი.[5]

საიდ ყუთბს თანამედროვე პოლიტიკური და იდეოლოგიური სტრუქტურის სრული დემონტაჟი და ისლამის ფესვებთან დაბრუნება სურდა. თავდაპირველი ისლამისათვის დამახასიათებელი იყო ღვთიური განსაკუთრებულობის შეგრძნება, უფლისა და ადამიანის აბსოლუტური ერთიანობა. სამოქალაქო ცხოვრების დაყოფა სულიერ და საერო, სახელმწიფო და რელიგიურ, სამეცნიერო და თეოლოგიურ, აზრობრივ და სულიერ პოლუსებად თანამედროვეობას ახასიათებდა, დასავლურ საზოგადოებაში დომინირებდა და თანდათანობით ისლამის მიმდევართა შორისაც იკიდებდა ფეხს. საიდ ყუთბის აზრით, ისლამისთვის ასეთი დანაწევრება მიუღებელია.

ეგვიპტელი პოეტის რწმენით, ისლამში ღვთისმეტყველება არ შეიძლება შეიცვალოს ნგრევის გარეშე. ისლამი უნდა იყოს სრულიად უკომპრომისო. ეს ღმერთის უკანასკნელი სიტყვაა. დასავლეთით მოხიბლულმა მუსლიმებმა დაივიწყეს ეს ანბანური ჭეშმარიტება. ყუთბის სწამდა, რომ მხოლოდ ისლამის დაბრუნებით ცხოვრებაში, კანონებსა და ხელისუფლებაში შეძლებდნენ მუსლიმები მსოფლიო კულტურაში კუთვნილი ადგილის მოპოვებას. ესაა მუსლიმთა ვალდებულება არა მარტო საკუთარი თავის, არამედ ღმერთის წინაშეც.[6]

ყუთბის თხზულებათა დიდი პოპულარობა იმას უკავშირდება, რომ მან მორწმუნეებს დაუბრუნა იმედი, ღირსება და სიამაყე: „ჩვენ ვფლობთ სულიერ საგანძურს, რომელსაც მოკლებულია ურწმუნოთა სამყარო, მიუხედა-

BRAMS 2021 Nov
Volume 2, Issue 5
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ვად მათი მატერიალური წარმატებისა“.[7] ყუთბი ასევე წერდა: „ქრისტიანობა ინდივიდის მხოლოდ სულიერ მისწრაფებაზე ამახვილებს ყურადღებას და ცდილობს ადამიანური ინსტინქტების ჩახშობას, რათა სულიერს უფრო მეტი ასპარეზი მისცეს. კომუნიზმი პირიქით, ადამიანს მატერიალური თვალსაზრისით განიხილავს. მათგან განსხვავებით, ისლამი ადამიანს მთლიანობაში აღიქვამს და, ამიტომ, აქ სულიერი მისწრაფებები არაა მოწყვეტილი ხორციელისგან“.[7] ყუთბის ამ სიტყვებში სიმართლე დამახინჯებულია.

თანამედროვე ისლამი აკრძალვებში უფრო შორს წავიდა, ვიდრე კომუნიზმი და ქრისტიანობა:

- რადგან მუსლიმები თვლიან, რომ ალკოჰოლის მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს ალკოჰოლიზმი, ამიტომ ალკოჰოლს საერთოდ კრძალავენ.
- ქალის უმშვენიერესი სახის, თმის, შიშველი მკლავისა თუ მუხლისთავის ხილვამ კაცს შეიძლება გონება დააკარგვინოს. ამიტომ საჭიროდ მიაჩნიათ ქალის ჩადრის ქვეშ დამალვა.
- ქრისტიანის ან სხვა რელიგიის წარმომადგენლის ქადაგებით მოხიბლულმა მუსლიმმა, შეიძლება, მართლმორწმუნეთა რიგები დატოვოს. ამიტომაც შემოიღეს რწმენისაგან განდგომილთა სიკვდილით დასჯა.
- ცოლქმრულ ღალატს ოჯახის დანგრევა შეიძლება მოჰყვეს. ამიტომ დააკანონეს სიკვდილით დასჯა ორგულობისათვის, ხოლო ქალებს ახლო ნათესავი მამაკაცების გარდა სხვა მამრებთან ნებისმიერი სახის ურთიერთობა და სრულიად უწყინარი საუბარიც კი აუკრძალეს.
- ფინანსური საქმიანობის შედეგად, შესაძლოა, უკანონო სიმდიდრის დაგროვება. ამიტომ მას კა-

BRAMS 2021 Nov
Volume 2, Issue 5
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ტეგორიულად ვკრძალავთ. მევახშეობით თუნდაც ერთი დინარის შოვნა ოცდათექვსმეტჯერ გარყვნილების ტოლფასიაო, ამბობდა ყუთბი.[8]

XIII საუკუნის დასაწყისში კათარების მიერ სამხრეთ საფრანგეთის ქალაქ ტულუზაში მოწყობილი აჯანყების ჩახშობისას, 1198-1216 წლებში რომის პაპმა, ინოკენტი III (1160-1216) განაცხადა: „მოკალით ყველა. ღმერთი თვითონ გამოაცალკევებს თავისიანებს უცხოთაგან“. ამავე პოზიციაზე არიან ჯიჰადისტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ უცოდველი მსხვერპლი პირდაპირ სამოთხეში მოხვდება, ხოლო ცოდვილი, რა თქმა უნდა, ჯოჯოხეთში. შესაბამისად, ისლამის მოძღვრებაზე უკეთ ვერაფერი ახსნის ისლამური ექსტრემიზმის ფენომენსა და ტერორიზმისადმი ფართო მასების მხარდაჭერას მუსლიმურ სამყაროში.[9]

ეგვიპტელი საიდ ყუთბის მიერ დასავლურ ფასეულობათა მიუღებლობას განაპირობებდა მისი სამშობლოს ჩამორჩენილობითა და სიღატაკით უკმაყოფილება, რაშიც პოეტი დასავლეთს ადანაშაულებდა. ეგვიპტის მიწის მხოლოდ 3% ითვლებოდა მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგად, საკვები პროდუქტების ნახევარი კი უცხოეთიდან შემოჰქონდათ. ამგვარი სავალალო მდგომარეობის მიზეზს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო რეგულირება, რომელიც ეგვიპტის მეორე პრეზიდენტმა, გამალ აბდელ ნასერმა (1918-1970) 1950-იან წლებში შემოიღო. ელექტროდენი, ბენზინი და ნავთობი თვითღირებულების მეოთხედ ფასად ეძლეოდა მოსახლეობას. ფასების დარეგულირების ყოველგვარ მცდელობას მოსახლეობის ქუჩაში გამოსვლა და ისეთი შეტაკებები და მღელვარება მოსდევდა, როგორიც 1970-1981 წლებში ეგვიპტის მესამე პრეზიდენტის, ანვარ სადათის (1918-1981) მმართველობის პერიოდში, 1977 წელს მოხდა. ეგვიპტის წარმოების ერთ მე-

BRAMS 2021 Nov
Volume 2, Issue 5
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სამედს შეადგენდა კვების მრეწველობა, მეორე მესამედს – საფეიქრო მრეწველობა, ხოლო მესამეს – სამრეწველო და საბინაო მშენებლობა. საერთოდ არ არსებობდა მანქანათმშენებლობა და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა. მოსახლეობის ნაწილი თვლიდა, რომ ეს გეგმიური ეკონომიკის ბრალი იყო, სხვებს მუსლიმური მენტალიტეტის მავნე შედეგად მიაჩნდათ ქვეყანაში არსებული კრიზისი, მესამენი კი კორუფციას ასახელებდნენ მთავარ მიზეზად.[10]

პრეზიდენტი ნასერი სასტიკად ებრძოდა ისლამისტურ მოძრაობას, სადათი კი გარკვეულ დათმობებზე წავიდა: ათასობით ისლამისტი გაათავისუფლა ციხიდან და მეჩეთებში ქადაგების ნება დართო. 1975 წელს ეგვიპტელი სუნიტების ისლამისტური მოძრაობა ჩამოყალიბდა, როდესაც ზომიერ ისლამისტებს გამოეყვნენ რადიკალები და შექმნეს „ისლამური დაჯგუფება“ (არაბ. „ჯამაათ ალ-ისლამიას“). მათ მიზანს წარმოადგენდა „უღმერთო ეგვიპტის სახელმწიფოს გარდაქმნა“. 1977 წლის 3 ივლისის ღამეს „ისლამურმა დაჯგუფებამ“ რელიგიის ყოფილი მინისტრი, 64 წლის დოქტორი მუჰამედ ჰუსეინ ალ-ზაჰაბი გაიტაცა მისივე ბინიდან და მოკლა.

1981 წლის 6 ოქტომბერს სამხედრო აღლუმის დროს პრეზიდენტი სადათი მოკლეს ისრაელთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებით უკმაყოფილოებმა. სადათის გვერდით მჯდომი, დაჭრილი, მაგრამ სიკვდილს სასწაულით გადარჩენილი ვიცე-პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი (1928-2020) ქვეყნის პირველი პირი გახდა. მან აკრძალა „მუსლიმთა საძმო“ და საგანგებო მდგომარეობა შემოიღო, რომელიც 2012 წლამდე გაგრძელდა. ასეთ პირობებში სეკულარიზმი არმიასა და საიდუმლო სამსახურებს ეყრდნობოდა ეგვიპტეში. პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ქვეყანაში კანონსა და უფლებებს განამტკიცებდა, ვერავი-

BRAMS 2021 Nov
Volume 2, Issue 5
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

თარ დასაყრდენს ვერ პოულობდა. ყველაფერი მხოლოდ ძალმომრეობასა და იარაღის გამოყენებაზე იყო აგებული.

პრეზიდენტ ნასერის ძალაუფლება იმიტომ არ შეირყა, რომ ის სეკულარისტი იყო და მოსკოველ უღმერთოებს შეეკრა. ამის მიზეზი 1967 წელს ისრაელთან ომში ეგვიპტის დამარცხება გახდა. სამხედრო წარუმატებლობამ ქვეყანაში ძალთა თანაფარდობა ისლამის სასარგებლოდ შეცვალა – სამხედრო სისუსტე ალაჰის მფარველობის დაკარგვად აღიქმებოდა.[11]

ახლო აღმოსავლეთის პრობლემების მკვლევარი და პოლიტიკური ექსპერტი, ამ სფეროში მოღვაწე ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მეცნიერი, ბრიტანელი ამერიკელი ისტორიკოსი ბერნარდ ლუისი (1916-2018) აღნიშნავდა, რომ ისლამიზმი თავად მუსლიმებისათვის უფრო დიდ საშიშროებას წარმოადგენს, ვიდრე დასავლეთისთვის.

ისლამიზმის ფესვები 1683 წლის 12 სექტემბრიდან იწყება, როდესაც ვენის ორთვიანი უშედეგო ალყის შემდეგ, თურქეთის დიდვეზირი ყარა-მუსტაფა ავსტრიის დედაქალაქის გალავანთან დამარცხდა პოლონურ-ლიტვურ გაერთიანებულ სამხედრო ძალებთან გადამწყვეტ ბრძოლაში. ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ კი ნათელი გახდა, რომ ისლამმა, როგორც ცივილიზაციამ, მარცხი განიცადა. იგივე შეიძლება ითქვას იაპონური, ინდური, ჩინური ცივილიზაციების შესახებ, მათი დასავლეთთან შეჯახების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ.

XIX საუკუნეში ამ ცივილიზაციებს დასავლეთთან კონკურენციისთვის ორი ვარიანტი ჰქონდათ: შეეძლოთ ლოკოკინასავით საკუთარ ნიჟარაში ჩაკეტვა, ან მოდერნიზება. ამ უკანასკნელის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია იაპონია. ინდოეთი და ჩინეთი დიდხანს ყოყმანობდნენ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ისინიც მოდერნიზაციის გზას დაადგნენ. ისლამურმა ქვეყნებმა – ეგვიპტემ მუჰამედ

BRAMS 2021 Nov
Volume 2, Issue 5
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ალი-ფაშას (1769-1849), ხოლო თურქეთმა მუსტაფა ქემალ-ფაშას, მომავალი, ათათურქის (1881-1938) დროს – ისევ მოდერნიზაცია არჩიეს, თუმცა, ნაწილობრივი. ისტორიამ ცხადყო, რომ ყველაზე პოპულარული „ლოკოკინას გზა“ გამოდგა – მუსლიმები შეუდგნენ ისლამის გაწმენდას გადაცდომებისგან, რათა კვლავ მოეპოვებინათ ალაჰის კეთილგანწყობა. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ხომ აღარც ერთი არაბული სახელმწიფო აღარ არსებობდა.[12]

პრობლემას ისიც წარმოადგენდა, რომ ისლამისტური პოლიტიკური წრეები მდგრადი მმართველობის იდეას არასოდეს განიხილავდნენ, რადგან არაბების მიერ შექმნილი იმპერია დაპყრობითი ომების პროდუქტს წარმოადგენდა. მაგალითად, შუა საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი არაბი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი იბნ ხალდუნი (1332-1406) მყარ მმართველობას ქალაჩუნობად თვლიდა. ასეთი მიდგომის გამო, ეგვიპტის, ერაყისა და სირიისთვის დასავლეთის მიერ თავსმოხვეული დემოკრატიული კონსტიტუციები ფეხს ვერ იკიდებდნენ ისლამურ ქვეყნებში, სადაც ევროპელების წასვლისთანავე აღდგებოდა ხოლმე ტრადიციული სამხედრო მმართველობის ფორმები. ახლო აღმოსავლეთში არასოდეს დასმულა კითხვა – „რას აკეთებს არმია პოლიტიკაში?“.

რატომ გაჩნდა ტერორისადმი მიდრეკილება მაინცდამაინც ისლამში და არა სხვა კულტურულ სივრცეში, რომლის წინაშეც ასევე იდგა თანამედროვეობასთან მორგების მწვავე აუცილებლობა? საქმე ისაა, რომ საჯაროსა და კერძოს შორის ზღვარის გავლება შესაძლებელია სხვა ცივილიზაციათა უმრავლესობაში. შესაბამისად, ცხოვრების სხვადასხვა სფეროსადმი მისადაგებული ორმაგი წარმოდგენების გადაჭრა შეიძლება როგორღაც მოხერხდეს მათ შემთხვევაში, მაგრამ ისლამში ეს შეუძლებელია. ბერნარ ლუისი აღნიშნავდა: „მუსლიმებისათვის

BRAMS 2021 Nov
Volume 2, Issue 5
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სახელმწიფო იყო ღმერთის სახელმწიფო, არმია – ღმერთის არმია, მტერი – ღმერთის მტერი. რეალობაში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ კანონი იყო ღმერთის კანონი და სხვა რამ, პრინციპში, გამოირიცხებოდა. აქ არ დამდგარა რელიგიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის საკითხი იმიტომ, რომ უბრალოდ არ არსებობდა რელიგია ავტონომიური ინსტიტუციის სახით. რელიგია და სახელმწიფო იყო ერთიანი, ერთი და იგივე".[13] თურქეთი ერთადერთი სახელმწიფოა მუსლიმურ სამყაროში, სადაც რელიგია გამოყოფილია სახელმწიფოსგან.

უმთავრეს პრობლემას მუდამ წარმოადგენდა პოლიტიზირებული ისლამის ლოგიკა, რომელიც ხელს უშლიდა ისლამურ სამყაროს თანამედროვეობასთან შეგუებაში.[13] „მაღალი" და „დაბალი" (ანუ სახალხო, რომელიც სინკრეტულია და ისლამის მისტიკური ფორმის, სუფიზმის ძლიერ გავლენას განიცდის) ისლამის ერთმანეთთან შეთავსების მიზნით, ეგვიპტის მეორე პრეზიდენტმა კაიროში არსებული უძველესი ისლამური სასულიერო სასწავლებლის – ალ-აზჰარის ნაციონალიზაცია განახორციელა, რომელიც 970-972 წლებიდან მოყოლებული, საუკუნეების განმავლობაში ამზადებდა ულემებს (რელიგიურ მეცნიერებს), ხოლო 1961 წლიდან ეგვიპტის უძველესი, ხარისხის მიმნიჭებელი, სახალხო უნივერსიტეტის სტატუსით სარგებლობს. გამალ აბდელ ნასერი თვლიდა, რომ მასწავლებლები და სტუდენტები გადაიქცეოდნენ ისლამისა და ბაასისტური სოციალიზმის თანაარსებობის მქადაგებლებად, მაგრამ მისმა მცდელობამ საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო: ხალხმა ულემები მთავრობის მარიონეტებად აღიქვა. ასეთმა არასახარბიელო შედეგმა ისლამის სახელით ეგვიპტის მთავრობის კრიტიკოსებს მეტი გასაქანი მისცა: ერთი მხრივ, საიდ ყუთბისა და აბულ ა'ლა მაუდუდის (1903-1979) სუნიტ მიმდევრებს, ხოლო მეორე

BRAMS 2021 Nov
Volume 2, Issue 5
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მხრივ, აიათოლა რუჰოლა ხომეინის (1900-1989) შიიტ მიმდევრებს. 1967 წელს ექვსდღიან ომში დამარცხების შემდეგ, საუდის არაბეთის მიერ დაფინანსებულმა ისლამურმა ინტელიგენციამ ზურგი აქცია სოციალისტურ ნაციონალიზმს და უკანმოუხედავად დაადგა ისლამიზმისკენ მიმავალ გზას.[14]

ისლამური სამყაროსთვის მეტად მნიშვნელოვანია საუდის არაბეთის პოზიცია. 1945 წლის თებერვლის დასაწყისში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ უინსტონ ჩერჩილსა (1874-1965) და სსრკ გენერალურ მდივან იოსებ სტალინთან (1879-1953) იალტის კონფერენციაზე შეხვედრის შემდეგ, აშშ 32-ე პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი (1882-1945) ეგვიპტეში ჩაფრინდა და 14 თებერვალს საუდის არაბეთის პირველ მეფეს, იბნ საუდს (1876-1953) შეხვდა სუეცის არხში დისლოცირებული კრეისერ „კუინსის“ ბორტზე. ნავთობის სანაცვლოდ, დასავლეთი საუდიტებს უსაფრთხოებას პირდებოდა. მეფე აბდულაზიზმა კატეგორიული უარი განაცხადა ისრაელის ცნობაზე. საუდის სამეფო ოჯახი ხან ღიად, ხანაც ფარულად აფინანსებდა მეჩეთებსა და მედრესებს, რომლებიც ებრაელების, ქრისტიანებისა და ინდუსებისადმი სიძულვილს ქადაგებდა. თუ საუდიტები ამ სასულიერო ინსტიტუციების დაფინანსებას შეწყვეტდნენ, მათ უეჭველად დაემუქრებოდათ ომი ვაჰაბიტებთან საკუთარი ქვეყნის ფარგლებში, რასაც დინასტიის დასასრული მოჰყვებოდა.

სწორედ ნავთობიდან მიღებული შემოსავლების წყალობით ახერხებდნენ ლიბიის ლიდერი მუამარ კადაფი (1942-2011), ერაყის მე-5 პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი (1937-2006), ირანელი მოლები და არაბი საუდიტები გლობალური ტერორიზმის დაფინანსებას. ამ სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი ნავთობიდან მიღებული შემოსავლების დეპოლიტიზირება იქნებოდა.[15] ამის განხორციელება

BRAMS 2021 Nov
Volume 2, Issue 5
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

განსაკუთრებით ძნელია ისეთი კონსერვატიული სახელმწიფოს არსებობის პირობებში, როგორიც საუდის არაბეთის მონარქიაა.

კონსერვატორულად განწყობილმა საუდელმა არაბებმა უარი თქვეს თანამედროვე ტანისამოსზე და ტრადიციულს (თავბი, ბიშთი, კუფია, გუტრა, იგალი) ამჯობინებენ. საუდის არაბეთში სამართლის აღსრულება ძველებურად ეკუთვნის ოჯახის უფროსს. თუ მან გადაწყვიტა ქალიშვილის, ცოლის, ვაჟიშვილის სიკვდილით დასჯა ისლამის წესების დარღვევის გამო, ოფიციალური სასამართლოც კი ვერ შეუშლის ხელს. მუსლიმური წესის მიხედვით, მოკლულის ოჯახი წყვეტს მკვლელის შეწყალებისა თუ სიკვდლით დასჯის საკითხს.[16]

საუდის არაბეთში დაუშვებელია ფულის გასესხება პროცენტით, რადგან ამას ვაჰაბიზმი კრძალავს. ადგილობრივი ბანკები კლიენტებს მომსახურების ფულს ახდევინებენ, მაგრამ თვით ფულის ინვესტირება არ შეუძლიათ. ამავე მიზეზით არ ხდება ბირჟაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა. საუდის არაბეთში მუშახელის 79% უცხოელია და მათი რაოდენობა, დაახლოებით, 5-6 მილიონია 18-მილიონიან ქვეყანაში. ქალებს ეკრძალებათ სახლსგარეთ მუშაობა.[17]

1974-2000 წლებში ნავთობი და ნავთობპროდუქტები საუდის არაბეთის ექსპორტის 91%-ს შეადგენდა. მიუხედავად დიდი რაოდენობით სამხედრო შეიარაღებისა, საუდიტებს არ შეუძლიათ ქვეყნის თავდაცვის ორგანიზება. როდესაც 1990 წელს სადამ ჰუსეინი საუდის არაბეთს დაემუქრა, საუდიტებმა ქვეყანაში ანტიერაყული კოალიციის 500 ათასი ჯარისკაცი შეიყვანეს, რამაც ისლამური ფუნდამენტალისტების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.[18]

არაბულ სახელმწიფოთა პრობლემები, შესაძლოა, იმითაა განპირობებული, რომ ისინი შედარებით ახალ-

BRAMS 2021 Nov
Volume 2, Issue 5
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

გაზრდა სახელმწიფოებია. საუდის არაბეთმა დამოუკიდებლობა 1932 წელს მიიღო, ქუვეითმა – 1961 წელს, იემენმა – 1967 წელს, გაერთიანებულმა არაბულმა საემიროებმა კი – 1971 წელს.

პალესტინელებმა ავტონომია 1993 წელს მიიღეს ოსლოში მიღწეული შეთანხმების შედეგად. პალესტინის ეროვნული ხელისუფლების (PNA) პირველმა პრეზიდენტმა, იასირ არაფატმა (1929-2004) წესრიგის დამყარება მისთვის ჩვეული მეთოდებით დაიწყო – სამოქალაქო სასამართლოების იგნორირება და ტრიბუნალების მიერ სასიკვდილო განაჩენების გამოტანა. არაფატის მმართველობის პერიოდში (1994-2004), ციხეებში უფრო მეტი პალესტინელი დაიღუპა, ვიდრე ოკუპაციის პერიოდში.[19]

როგორც კი 2006 წელს ღაზის სექტორმა ავტონომიური უფლებები მიიღო და მის ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოვიდა ჰამასი (პალესტინის სუნიტური ფუნდამენტალისტური მოძრაობა), მაშინვე გაჩაღდა ბრძოლა ფათჰსა (პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია) და ჰამასს შორის.

ისრაელის სახელმწიფოს არსებობის შვიდი ათეული წლის განმავლობაში ქვეყანა ნახევარმა მილიონმა ებრაელმა და 10 ათასმა არაბმა დატოვა, თუმცა, არავითარი შეზღუდვა არ არსებობდა. დროთა განმავლობაში პალესტინელ ლტოლვილთა რაოდენობა 0.7-დან 4 მლნ კაცამდე გაიზარდა.[20]

არაბული წარმოშობის ამერიკელი მოაზროვნე ედუარდ საიდი (1935-2003) აღიარებდა, რომ მთელი არაბული სამყარო ერთ ადგილს ტკეპნიდა და ყველა სფეროში ჩამორჩებოდა მსოფლიო პროგრესს: „ცხოვრების სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური პირობები არაბულ ქვეყნებში უდაბლეს დონეზე რჩება. წერა-კითხვის უცოდინრობა, სიღატაკე, უმუშევრობა, მეურნეობის არაეფექტუ-

BRAMS 2021 Nov
Volume 2, Issue 5
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რობა დღითიდღე მატულობს. იმ დროს, როდესაც მთელი მსოფლიო დემოკრატიისკენ მიემართება, არაბები ტირანიის გაძლიერებასა და მაფიოზური საშუალებების გამოყენებას ამჯობინებენ სახელმწიფოს მართვაში“.[21]

განსაკუთრებით მწვავე პრობლემას წარმოადგენს არაბების დამოკიდებულება ისრაელის სახელმწიფოსადმი. ყოველი არაბული ქვეყნის საზოგადოების მნიშვნელოვან უმრავლესობაში ისრაელის საწინააღმდეგო განწყობილებაა გაბატონებული. ანტიებრაული ქადაგება იმის იდენტურია, თანამედროვე გერმანიის სკოლებში რომ ტარდებოდეს ანტისემიტიზმის ანდა ამერიკის შეერთებული შტატების სასწავლო დაწესებულებებში იმართებოდეს აფროამერიკელებისადმი სიძულვილის გაკვეთილები. ტერორიზმის საბოლოოდ დასასრულებლად აუცილებელი ერთ-ერთი პირობაა მუსლიმთა გონების ამგვარი დაბინდვის შეწყვეტა.[22]

არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის არსებობა იმის სიმპტომია, რომ არაბულ სამყაროს არ შეუძლია თანამედროვეობასთან შერიგება. ამავე დროს, ესაა ზოგადი ტაქტიკა, რომელსაც იყენებენ მესამე სამყაროს ქვეყნები საშინაო პრობლემებიდან საგარეოზე ყურადღების გადასატანად.

2000 წლის 11-დან 25 ივლისის ჩათვლით კემპ-დევიდის საპრეზიდენტო რეზიდენციაში გამართულ სამიტზე აშშ 42-ე პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი დასრულებულიყო. ისრაელის პრემიერ-მინისტრ ეჰუდ ბარაქსა (დ. 1942) და პალესტინის ლიდერ იასირ არაფატს შორის მეგობრული შეხვედრა საბოლოო შეთანხმების გარეშე დასრულდა, რადგან პალესტინელებს ყველაფერი შესთავაზეს, ისრაელში სანუკვარი დაბრუნების გარდა. ამიტომ უარყო არაფატმა ეს წინადადება და მორიგი ინ-

BRAMS 2021 Nov
Volume 2, Issue 5
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ტიფადა (არაბ. „დაუმორჩილებლობა“) წამოიწყო. არადა, ეჰუდ ბარაქი პალესტინელების ყველა დანარჩენ პირობას დაეთანხმა. უბრალოდ, ისრაელის ვერცერთი მთავრობა ვერ მისცემს პალესტინელებს დაბრუნების უფლებას, რადგან ეს ებრაული სახელმწიფოს გაქრობის ტოლფასი იქნება. ამიტომ მუდმივად აქტუალურია ლტოლვილების დაბრუნების საკითხი.[23]

თანამედროვე პრობლემას წარმოქმნის ისრაელის მიერ მსხვერპლის იმიჯის კვლავაც აქტიურად გამოყენება თავისი ძალისმიერი პოლიტიკის ლეგიტიმაციისათვის. ამის პარალელურად, ისრაელი თავის კრიტიკოსებს ჰოლოკოსტის ფარულად მხარდაჭერაში სდებს ხოლმე ბრალს. უნგრეთში დაბადებული, ებრაული წარმოშობის ბრიტანელი მწერალი, ცნობილი ანტიკომუნისტი არტურ კესტლერი (1905-1983) წერდა: „თუ ძალაუფლება რყვნის, მაშინ მართალია საწინააღმდეგოც; დევნა რყვნის მსხვერპლს, თუმცა, შესაძლოა, უფრო დახვეწილი და ტრაგიკული სახით“.[24]

2003 წელს ამერიკელებმა ერაყის ოკუპაცია მოახდინეს. ალჟირი ფუნდამენტალისტებსა და სამხედროებს შორის მიმდინარე სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვეულიყო, რომელსაც 100 ათასი კაცის სიცოცხლე შეეწირა. მაროკოს მონარქია შეაშფოთა „არაბული გაზაფხულის“ პერსპექტივამ: ლიბიაში მუამარ კადაფი დაამხეს, ერაყში – სადამ ჰუსეინი, ტუნისში – მონარქია, სუდანს მომავლის პერსპექტივა არ უჩანს, ხოლო იორდანია რეგიონის უღატაკესი სახელმწიფოა. ამ დროს კი არნახულ სიმდიდრეში განცხრომით მცხოვრები ქუვეითი და საემიროები სტრატეგიულად აშშ-ზე არიან დამოკიდებულნი. ნავთობის წილს თუ გამოვაკლებთ, 22 არაბული ქვეყნის ერთობლივი ექსპორტი ფინეთის ექსპორტისოდენა ძლივს იქნება.

BRAMS 2021 Nov
Volume 2, Issue 5
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რეგიონიდან დასავლეთის წასვლის შემდეგ, სწორედ თავიანთი ჩამორჩენილობის გამო აღმოჩნდნენ მთელი რიგი არაბული რეჟიმები ნაციონალიზმისა და სოციალიზმის ბადეში. გამალ ნასერის რევოლუციამ დიდი კატასტროფა გამოიწვია არაბეთის უახლოეს ისტორიაში – დამარცხება ექვსდღიან ომში. ვერც ნასერმა, ვერც კადაფიმ, ვერც ასადმა და ვერც სადამ ჰუსეინმა ვერ შეძლეს მეტ-ნაკლებად მყარი საზოგადოების შექმნა. სუდანში ეთნიკურ კონფლიქტებში 2 მლნ ადამიანზე მეტი დაიღუპა. წააგო ავღანეთში, სუდანსა და ირანში რეალიზებულმა ისლამმაც. ახლა კი თალიბანის ავღანეთში დაბრუნებით მსოფლიო პოლიტიკის ბორბალი თავიდან დატრიალდება და მხოლოდ ღმერთმა უწყის, საით წაიყვანს სამომავლო პერსპექტივას.

ლიტერატურა ▫ References

1. Бжезинский З. (2007). *Еще один шанс: три президента и кризис американской сверхдержавы*, М., стр. 135.
2. Бьюкенен П. (2006). *Правые и неправые. Как неоконсерваторы заставили нас забыть о рейгановской революции и повлиять на президента Буша*, М., стр. 114.
3. Nolte, E. (2009). *Die dritte radikale Widerstandsbewegung: Der Islamismus*, Berlin, s. 27.
4. Райт Л. (2010). *Аль-Каида*, М., стр. 29, 35.
5. Кардини Ф. (2007). *Европа и ислам*, М., стр. 11.
6. Райт Л. Указ. соч., стр. 29.
7. Ефимов И. (2008). *Грядуший Аттила. Прошлое, настоящее и будущее международного терроризма*, М., стр. 264.
8. Ефимов И. Указ. соч., стр. 265.
9. Ефимов И. Указ. соч., стр. 267.
10. Харрис С. (2011). *Конец веры*, М., стр. 210.
11. Ефимов И. Указ. соч., стр. 245-246.
12. Ефимов И. Указ. соч., стр. 253, 259.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

13. Лал Д. (2010). *Похвала империи. Глобализация и порядок*, М., стр. 146, 148.
14. Лал Д. Указ. соч., стр. 152, 155.
15. Лал Д. Указ. соч., стр. 160.
16. Лал Д. Указ. соч., стр. 170.
17. Ефимов И. Указ. соч., стр. 212.
18. Ефимов И. Указ. соч., стр. 215-216.
19. Ефимов И. Указ. соч., стр. 219.
20. Ефимов И. Указ. соч., стр. 183.
21. Ефимов И. Указ. соч., стр. 184, 189.
22. Ефимов И. Указ. соч., стр. 191.
23. Лал Д. Указ. соч., стр. 163.
24. Лал Д. Указ. соч., стр. 164.
25. Жижек С. (2010). *О насилии*, М., стр. 96.
26. Жижек С. (2011). *Размышления в красном цвете*, М., стр. 401.
27. Жижек С. (2010). *О насилии*, М., стр. 108.
28. Харрис С. Указ. соч., стр. 40.
29. Ефимов И. Указ. соч., стр. 242.
30. Харрис С. Указ. соч., стр. 203.
31. Харрис С. Указ. соч., стр. 220.
32. Харрис С. Указ. соч., стр. 230, 233.
33. Харрис С. Указ. соч., стр. 239.
34. Шапиро Р. (2009). *Прогноз на будущее*, М., стр. 49.
35. Харрис С. Указ. соч., стр. 203-204.
36. Харрис С. Указ. соч., стр. 43.
37. Харрис С. Указ. соч., стр. 49.
38. Харрис С. Указ. соч., стр. 81, 111.
39. Харрис С. Указ. соч., стр. 170.
40. Харрис С. Указ. соч., стр. 199.
41. Жижек С. (2010). *О насилии*, М., стр. 90.
42. Жижек С. Указ. соч., стр. 61.
43. Бьюкенен П. Указ. соч., стр. 114, 118, 123.
44. Саид Э. В. (2006). *Ориентализм. Западные концепции Востока*, СПб, стр. 234-235.
45. Жижек С. (2010). *О насилии*, М., стр. 50.
46. Жижек С. Указ. соч., стр. 70.
47. Ваисс М. (2005). *Международные отношения после 1945 года*, М., стр. 318.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)